

საქართველოს უზენაესი
სასამართლოს
მოსამართლეობის
კანდიდატთა შეფასებები

თბილისი, 30 ნოემბერი, 2021წ.



სარჩევი

გენადი მაკარიძე	4
თამარ ოქროპირიძე	13
ნინო სანდოძე	22
თეა ძიმისტარაშვილი.....	28

შესავალი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტმა, USAID/PROLoG-ისა და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) ექსპერტთა მხარდაჭერით, შეიმუშავა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების მეთოდოლოგია.

აღნიშნული მეთოდოლოგიის უმთვარეს მიზანს წარმოადგენს ადვოკატურის, როგორც მართლმსაჯულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ჩართულობის გაძლიერება საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში და საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება კანდიდატთა უზენაეს სასამართლოს მოსამართლის თანამდებობასთან შესაბამისობის თაობაზე.

შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმებით:

1) პიროვნული თვისებები;

2) პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები.

თავის მხრივ, თითოეული ზემოთხსენებული კრიტერიუმი თავის თავში მოიცავს შემდეგს:

„პიროვნული თვისებები“

ა) კანდიდატის რეპუტაცია იურიდიულ წრეებში;

ბ) კანდიდატის პიროვნება:

ბ)1 ხასიათი, საქმისადმი დამოკიდებულება;

ბ)2 სამართლიანობა;

ბ)3 შემწყნარებლობა;

ბ)4 თანაგრძნობა;

ბ)5 სიმტკიცე;

ბ)6 განსხვავებული აზრის მიმდებლობის და გაზიარების უნარი;

ბ)7 მოთმინების უნარი;

ბ)8 სტერეოტიპებისგან თავისუფლება;

გ) კანონის წინაშე თანასწორობის იდეის ერთგულება;

დ) ეთიკური ღირებულებები;

ე) ფართო აზროვნების უნარი.

„პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები“

ა) პროფესიული განათლება და ინტელექტუალური შესაძლებლობები;

ბ) ზეპირი და წერილობითი მსჯელობის უნარი;

გ) ანალიზის უნარი;

დ) კანონის ცოდნა ნორმის განმარტების უნარი.

ე) ინფორმირებულობა შესაფერის სასამართლო პრაქტიკაზე, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებზე;

ვ) პროფესიული გამოცდილება.

ამასთან, შეფასების ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლე უნდა ფლობდეს განსაკუთრებულ პროფესიულ კვალიფიკაციას, სამართლის ნორმათა განმარტების და საუკეთესო საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკების განზოგადების და სასამართლო პრაქტიკის განვითარების გამორჩეულ უნარებს.

შეფასების მიზანს წარმოადგენს, გაკეთდეს დასკვნა კანდიდატების კვალიფიკაციის ხარისხის თაობაზე, შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „მაღალ კვალიფიციური“, „კვალიფიციური“, „ნაკლებად კვალიფიციური“.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატისთვის:

„მაღალკვალიფიციური“ შეფასების მინიჭება შესაძლებელია თუ იგი მაღალი და გამორჩეული სტანდარტით აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებს.

„კვალიფიციური“ შეფასების მინიჭება შესაძლებელია თუ იგი საშუალო ან მაღალთან მიახლოებული სტანდარტით აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებს.

„ნაკლებად კვალიფიციური“ შეფასების მინიჭება შესაძლებელია თუ იგი დაბალი ან საშუალოთან მიახლოებული სტანდარტით აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებს.

კანდიდატთა შეფასებები მოკლე მიმოხილვა	
გენადი მაკარიძე	პიროვნული თვისებები: კვალიფიციური
	პროფესიული კომპეტენცია/ სამოსამართლო უნარ-ჩვევები: ნაკლებად კვალიფიციური
თამარ ოქროპირიძე	პიროვნული თვისებები: კვალიფიციური
	პროფესიული კომპეტენცია/ სამოსამართლო უნარ-ჩვევები: კვალიფიციური
ნინო სანდოძე	პიროვნული თვისებები: კვალიფიციური
	პროფესიული კომპეტენცია/ სამოსამართლო უნარ-ჩვევები: კვალიფიციური
თეა ძიმისტარაშვილი	პიროვნული თვისებები: ნაკლებად კვალიფიციური
	პროფესიული კომპეტენცია/ სამოსამართლო უნარ-ჩვევები: კვალიფიციური

კანდიდატთა ინდივიდუალური შეფასებები

1. გენადი მაკარიძე

პიროვნული თვისებები:

კანდიდატის შეფასებისას პიროვნული თვისებებისა და სამართლიანობის კრიტერიუმით, შემფასებელი ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს იმგვარი კრიტერიუმის დაკმაყოფილება კანდიდატის მხრიდან, როგორცაა კანდიდატის პიროვნება - მისი დამოკიდებულება საქმისადმი. კანდიდატის შეფასებისას ამ კონკრეტული კრიტერიუმით, შემფასებლის მოსაზრებით, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას მის მიერ საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დაცვა, რაც შესაძლოა იყოს კანდიდატის საქმისადმი დამოკიდებულების წარმომჩენი ფაქტორი. კანდიდატის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის მოძიებისას იძებნება ცნობა მასზედ, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ადგილი ჰქონდა იმ საქმის წარმოების არაგონივრულად გაჭიანურებას, რომელსაც იხილავდა კანდიდატი, კერძოდ, საკითხი ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ შვიდი თვითმმართველი ქალაქის გაუქმების შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას და ამ მიზნით სასამართლოში წარდგენილ სარჩელს,

რომლის განხილვის დაწყება საქალაქო სასამართლომ ვერ შეძლო ცხრა თვის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მხარე მოითხოვდა საქმის განხილვის დაჩქარებას საარჩევნო წლის გათვალისწინებით. როგორც წყარო უთითებს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის გაჭიანურების მიზეზს წარმოადგენდა მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეების სიმრავლე. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში საქმეთა სიმრავლეს კანდიდატი თავადვე ასახელებდა სასამართლო სისტემისათვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად ჯერ კიდევ ტყიბულის მაგისტრატ სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს.

შესაძლებელია აღინიშნოს, რომ კანდიდატი იურიდიულ წრეებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით. გამოკითხული პირების უმეტესობის მიერ კანდიდატი დახასიათებულ იქნა, როგორც დადებითი, ყურადღებიანი, კეთილსინდისიერი პიროვნება. არ ყოფილა აღნიშნული მასზე, რომ კანდიდატის მხრიდან სამართალწარმოების პროცესში დაირღვა პროფესიული ეთიკის მოთხოვნები. თავად კანდიდატის მხრიდან საკუთარ სუსტ მხარეებზე საუბრისას გამოიყო ის, რომ მისი შეფასებით ადამიანებთან კომუნიკაცია არ წარმოადგენს მის ძლიერ მხარეს და ასევე მარტივად ენდობა მათ.

ცალკეულ პრობლემატურ საკითხებზე საუბრისას კანდიდატმა თავი აარიდა ან გაუჭირდა მკაფიოდ პოზიციის დაფიქსირება, მაგალითად: დასმულ შეკითხვაზე უნდა არსებობდეს თუ არა საქართველოში მინიმალური შრომის ანაზღაურების სტანდარტი, კანდიდატმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე აქამდე არ უფიქრია, თუმცა შემფასებლის მოსაზრებით აღნიშნული არ წარმოადგენს იმგვარი სირთულის საკითხს, რომელზეც შეუძლებელი იქნებოდა კანდიდატის მხრიდან უფრო ვრცელი კომენტარის გაკეთება, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც კანდიდატმა დაადასტურა, რომ ამ კუთით მისთვის ცნობილია ევროპული ქვეყნების პრაქტიკა. საინტერესო იყო კანდიდატისათვის დასმული შეკითხვა მასზე, თუ რამ უბიძგა მას, რომ გამხდარიყო მოსამართლე -ეს იყო უფრო ღირებულებითი არჩევანი თუ გარემოებებისდა გამო აღმოჩნდა მოსამართლის თანამდებობაზე, რაზეც კანდიდატის პასუხი არ იყოს მკაფიოდ და დასმულ შეკითხვასთან სრულად შესაბამისობაში მყოფი, მან განაცხადა, რომ მან ზუსტად იცოდა, რომ უნდა ეშრომა, ნებისმიერ პოზიციაზე, მას უყვარს ეს პროფესია. სასურველი იქნებოდა კანდიდატს მკაფიოდ და ნათლად აეხსნა რა გარემოებებმა შეუწყო ხელი მის არჩევანს, დაეკავებინა მოსამართლის თანამდებობა, ვინაიდან შრომის სიყვარული მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სხვა ნებისმიერი, მათ შორის მოსამართლის საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავებისათვის.

კანდიდატს დაესვა არაერთი შეკითხვა საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური და მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის საკითხზე, ეთხოვა, რომ დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია ამ

თემაზე, განემარტა, თუ რას გულისხმობს თითოეული და საჭიროა თუ არა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა. ამ საკითხებზე ერთადერთი მკაფიო პოზიცია, რისი გაგებაც შესაძლებელი გახდა კანდიდატის პასუხიდან, გახლდათ ის, რომ მისი აზრით, ვერ ვიტყვით, რომ მივაღწიეთ პიკს და საჭიროა კიდევ მეტის გაკეთება, თუმცა კანდიდატის შეფასებით დღევანდელი საკანონმდებლო სივრცე მოსამართლეს ხელს უწყობს დამოუკიდებლობაში, ამასთან, როგორია მისი ხედვა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გასაუმჯობესებლად გადასადგამი კონკრეტული ნაბიჯების თაობაზე, არ იქნა მკაფიოდ წარმოჩენილი, რაც შემფასებელს აძლევს საფუძველს იფიქროს, რომ კანდიდატი არ იყო სრულად გულწრფელი, როდესაც იგი საუბრობდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხზე, მის მნიშვნელობაზე და მისი გაუმჯობესებისათვის საჭირო და აუცილებელ გასატარებელ ღონისძიებებზე.

საინტერესოა, რომ საქართველოს პარლამენტში გასაუბრების დროს კანდიდატს ეთხოვა, რომ გამოეყო ერთი რომელიმე კონკრეტული კრიტერიუმი, რომელიც მისი აზრით ყველა მოსამართლეს აუცილებლად უნდა გააჩნდეს. ამ საკითხზე საუბრისას კანდიდატმა რამდენიმე დაასახელა, თუმცა აღნიშნა, რომ რთულია ერთის გამოყოფა, ამასთან, მის მიერ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს შორის არ გახლდათ გამბედაობა, რაც შემფასებლის მოსაზრებით უმნიშვნელოვანეს პიროვნულ მახასიათებელს წარმოადგენს ნებისმიერი მოსამართლისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ შემფასებლის მიერ ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია კანდიდატის პროფესიული აქტივობის თაობაზე (გარდა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისა), ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატის თაობაზე იურიდიულ წრეებში ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შეკრებილი ინფორმაცია არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კანდიდატი სრულყოფილად იქნას შეფასებული პიროვნული თვისებებისა და სამართლიანობის კრიტერიუმით გათვალისწინებული ყველა გარემოების მიხედვით.

პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები:

აღნიშნული კრიტერიუმით კანდიდატის შეფასების პროცესში შემფასებელი ძირითადად დაეყრდნო საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და საქართველოს პარლამენტში კანდიდატის გასაუბრების ამსახველ ჩანაწერებს, რა დროსაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრება არ იყო ხანგრძლივი, არ გამოირჩეოდა შეკითხვების მრავალფეროვნებით, მრავალრიცხოვნობით ან/და სირთულით, შესაბამისად იგი არ იძლევა საშუალებას, ნათელი წარმოდგენა შეექმნას შემფასებელს იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციურია კანდიდატი სამართლის სხვადასხვა დარგში და როგორია მისი

კომპეტენციის მაჩვენებელი სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე მსჯელობისას. მეორეს მხრივ საქართველოს პარლამენტში გასაუბრების ეტაპზე დასმული შეკითხვების წრე იყო უფრო მეტად ფართო და მეტად იძლეოდა შესაძლებლობას, რომ შეგვეფასებინა კანდიდატის პროფესიული კომპეტენცია სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების დროს უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა არსებითად სწორად იმსჯელა ცალკეულ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდებოდა მაგალითად გადახდისუუნარობის საქმის სასამართლოში წარმოებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს, ისაუბრა სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტზე და უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობებზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა ვერ შეძლო, სწორად წარემართა მსჯელობა გასაუბრების პროცესში სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება ითქვას ყველაზე საინტერესო და დასაფიქრებელ საკითხზე, როგორცაა მაგალითად შემდეგი: დაიშვება თუ არა ადმინისტრაციულ პროცესში სარჩელის უზრუნველყოფის შებრუნების ინსტიტუტის გამოყენება. კანდიდატმა განმარტა, რომ მას არა ახსენდება ამკრძალავი ნორმა, რომელიც შეუძლებელს გახდიდა ამ სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენებას ადმინისტრაციულ პროცესში, ხოლო საბჭოს წევრის შეკითხვაზე - ხომ არ იცნობს კანდიდატი ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, კანდიდატმა განმარტა, რომ არ ახსენდება ამგვარი.

შემფასებელი ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ რეალურად კანდიდატისათვის საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების დროს დასმულ კითხვათა შორის სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო და პრობლემატურ საკითხს სწორედ ხსენებული საკითხი წარმოადგენდა, რაზეც საქართველოს უზენაეს სასამართლოს გააჩნია მყარად დადგენილი პრაქტიკა, თუნდაც 2019 წლის 9 იანვრის განჩინება #ბს-1562(უს-18), რომლის თანახმადაც, უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ დავაში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, არ დაიშვება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით რეგლამენტირებული უზრუნველყოფის გარანტია ან/და სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების წესი. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარი რეგულაციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში. ამავე განჩინებით უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში უპირატესად გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ამდენად, უზენაესმა სასამართლომ, ერთი მხრივ მიუთითა რა, რომ ადმინისტრაციულ დავაში უმეტესწილად გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო წესები უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მეორე მხრივ, გამორიცხა ამ ნორმებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, უზრუნველყოფის გარანტიის ან/და სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემფასებლის აზრით, კანდიდატმა ვერ გაართვა თავი სათანადოდ ამ საკითხზე მსჯელობას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მხრიდან კანდიდატისადმი დასმულ იქნა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რა განსხვავებაა ძველ და ახალ შრომის კოდექსებს შორის ისეთი საკითხის სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, როგორც გახლავთ უკანონოდ განთავისუფლებული მუშაკის თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობისას მისთვის კომპენსაციის მიკუთვნება. კანდიდატმა განმარტა, რომ ძველი შრომის კოდექსით სასამართლოს ჰქონდა დისკრეცია, რომ განესაზღვრა კომპენსაციის მოცულობა, ხოლო ახალი რეგულაციით, თუკი ვერ ხდება სამსახურში აღდგენა, პირს შეუძლია კომპენსაციასთან ერთად მოითხოვოს განაცდური, კანდიდატის განმარტებით, ახალი შრომის კოდექსით სასამართლოს დისკრეცია შეუმცირდა, თუმცა შემფასებლის მოსაზრებით კანდიდატის მსჯელობა არ იყო ვრცელი და დასაბუთებული, კანდიდატის მხრიდან ვერ იქნა ნათლად ახსნილი, თუ რაში გამოიხატება ახალი რეგულაციით სასამართლოს დისკრეციის შემცირება, რადგანაც ახალი შრომის კოდექსის მიხედვით, კომპენსაციის მოცულობის განსაზღვრა კვლავაც სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

შეფასების პროცესში შემფასებლის მიერ გაანალიზებულ იქნა კანდიდატის მიერ შესრულებული წერილობითი ნამუშევარი - სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. წერილობითი ნამუშევრის შეფასება მნიშვნელოვანია, რათა შესაძლებელი გახდეს დასკვნის გაკეთება შემფასებლის მიერ მასზედ, თუ რამდენად კარგად აქვს კანდიდატს განვითარებული წერილობითი მსჯელობის, ნორმის განმარტების უნარი, რამდენად კარგად ფლობს კანონს და სასამართლო პრაქტიკას განსახილველ საკითხთან მიმართებით.

არასამთავრობო ორგანიზაცია - „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ ამა წლის 1 მარტს საზოგადოების ვებ-გვერდზე განთავსებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია სასამართლოს იმ პალატის მიერ, სადაც კანდიდატი მომხსენებელ მოსამართლეს წარმოადგენდა (გადაწყვეტილება ერთვის წინამდებარე შეფასებას #1 დანართის სახით). სააპელაციო სასამართლოს განსახილველ დავაში მოუხდა ძალიან მნიშვნელოვანი შეფასებების გაკეთება არასამთავრობო ორგანიზაციის სიტყვისა და

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის და მისთვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობა-არარსებობის შესახებ.

შესაფასებელ საკითხს წარმოადგენდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ და გამოქვეყნებულ ანგარიშში - „კორუფციული რისკები სასამართლო სისტემაში“ მოცემული ცალკეული დათქმების სამართლებრივი კვალიფიკაცია და იმის გადაწყვეტა, აღნიშნული დათქმები იყო ანგარიშის ავტორთა აზრი თუ წარმოადგენდა ფაქტს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, ანგარიშში ასახული ერთ-ერთი სასამართლო საქმის დასახელება კორუფციული რისკის შემცველ საქმედ, უნდა ყოფილიყო თუ არა დაცული აბსოლუტური პრივილეგიით. საინტერესოა, რომ აღნიშნული საქმის ფარგლებში სასამართლომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მითითებანი გააკეთა, როგორც ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაზე და მოიყვანა რელევანტური სასამართლო გადაწყვეტილებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან, ასევე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე, გადაწყვეტილებაში სწორად მოიხმო ნორმები საქართველოს კანონიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ, ისევე როგორც გამოიყენა საქართველოს კონსტიტუცია, თუმცა სასამართლოს მიერ საბოლოოდ გაკეთებული დასკვნები და მიღებული გადაწყვეტილება, შემფასებლის მოსაზრებით, არ არის თანხვედრაში მის მიერვე გადაწყვეტილებაში მოყვანილ ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკასთან, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განვითარებულ ცალკეულ მსჯელობებთან.

ერთის მხრივ სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე და ციტირებს გადაწყვეტილებიდან რელევანტურ განმარტებებს, კერძოდ: „საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ას-1366-219 საქმეზე განმარტა შემდეგი: საკასაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ხაზი გაუსვას, რომ (შეადრ: სუსგ №ას591-591-2018, 16 აპრილი, 2019 წელი, პ.1.4.6), იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს მართლმსაჯულების რეფორმა და სასამართლო ხელისუფლება ფართო საზოგადოების ინტერესშია მოქცეული, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ განსაკუთრებულ, სასამართლო ხელისუფლებაზე/მოსამართლეზე აშკარა და ნეგატიური თავდასხმის შემთხვევაში დაიშვება, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების როლის შესუსტებას, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფას და მხოლოდ აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს განცხადების გამავრცელებლის მიზანს. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევამ შეიძლება დააზარალოს ქვეყნის ინტერესები, შეუძლებელი გახადოს საზოგადოების ან პოლიტიკოსების მხრიდან რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც,

ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ქვეყნის ინტერესებსა და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან ინსტიტუციას წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ექცევა საზოგადოებრივ ინტერესში. ამ მხრივ, აუცილებელია საზოგადოებაში სასამართლოს განსაკუთრებული როლის გათვალისწინება. ქვეყანაში, რომელიც იმართება კანონის უზენაესობის პრინციპით, სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების გარანტი, უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით, იმისათვის, რომ წარმატებით შეძლოს საკუთარი მოვალეობების შესრულება. მოსამართლეები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფუნდამენტური ინსტიტუციის ნაწილს და შეიძლება დაექვემდებარონ პირად კრიტიკას დასაშვებ ფარგლებში. ამდენად, თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, მათზე ვრცელდება დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო ფარგლები, ვიდრე რიგითი მოქალაქის შემთხვევაში (იხ. ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლორენი და ჟული საფრანგეთის წინააღმდეგ - 21279/02 გადაწყვეტილება 22.10.2007 [დიდი პალატა] (Lindon, Otchakovsky Laurens and July, 21279/02, 22.10.2007 [GC]) Libération, §74)... ” და ციტირებასთან ერთად აკეთებს განმარტებას, რომ „მოცემულ შემთხვევაში ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს მიერ გამოქვეყნებული ანგარიში სახელწოდებით - „კორუფციული რისკები სასამართლო სისტემაში“, წარმოადგენდა ორგანიზაციის შეფასებას სასამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით და მასში მოყვანილი იყო სახვადასხვა საქმეები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ორგანიზაციას ჰქონდა შეფასება გაკეთებული. ცხადია, რომ ამ თვალსაზრისით, ანუ სასამართლოსთან მიმართებაში ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს ანგარიში ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში. შესაბამისად სააპელაციო სასამართლო იზიარებს მოპასუხე ორგანიზაციის პოზიციას, რომ ვინაიდან ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით მიიღწევა, კვლევის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შეზღუდვა დაუშვებელია”, აღნიშნულის მიუხედავად, მოგვიანებით აკეთებს განმარტებას, რომ ანგარიშში გამოტანილი დასკვნა - „პროცესი კითხვებს აჩენს მართლმსაჯულების მიუკერძოებლად განხორციელების თაობაზე” და „ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლოა ითქვას, რომ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში არსებული მტკიცებულების ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნევა და ამ საფუძველით საქმის განახლება კითხვებს აჩენს მართლმსაჯულების მიუკერძოებლად განხორციელების თაობაზე”, მოქცეულია სათაურის ქვეშ „კორუფციის რისკები კონკრეტულ საქმეებში”, რაც მკითხველს აფიქრებინებს, რომ დავის გადაწყვეტა მოხდა შპს „ა.”-ს პარტნიორების ლ. თ., მ. ა. და ს. ა. კორუფციული გარიგების საფუძველზე”, რაც საბოლოო ჯამში ხდება სააპელაციო სასამართლოს მიერ

ზემოთხსენებული დათქმების დიფამაციად მიჩნევის და არასამთავრობო ორგანიზაციისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

შემფასებლის მოსაზრებით, სასურველი იქნებოდა, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთების უფრო მაღალი სტანდარტით ეხელმძღვანელა შესაფასებელი გამონათქვამების დიფამაციად მიჩნევისას, ვინაიდან არ არის საკმარისად ნათელი, თუ რატომ ჩაითვალა სადავო გამონათქვამები დიფამაციად. აგრეთვე, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, შემფასებლის აზრით, არ შეესაბამება იმ ეროვნულ თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც სააპელაციო სასამართლოს თავადვე აქვს მოხმობილი და განმარტებული თავისივე გადაწყვეტილებაში. ყოველივე აღნიშნული, შემფასებლის მოსაზრებით, არ მეტყველებს მასზე, რომ კანდიდატის წერილობითი მსჯელობის თუ ნორმის განმარტების უნარები უმაღლესი ან მაღალი სტანდარტით დაკმაყოფილებულია. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, შემფასებელი ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს პარლამენტში გასაუბრების დროს კანდიდატისათვის დასმულ შეკითხვაზე - იცნობს თუ არა იგი ევროპული სასამართლოს პრაქტიკას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხზე, რაზეც კანდიდატის პოზიცია იყო, რომ იგი ამგვარ პრაქტიკას არ იცნობს, არ ახსენდება, მაშინ როცა წინამდებარე შეფასებაში მოყვანილ და განხილულ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც საკმაოდ მრავლადაა მითითებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

კანდიდატს განვითარებული აქვს ზეპირი კომუნიკაციის უნარი. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს შემფასებელს აძლევს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და საქართველოს პარლამენტში კანდიდატთან გასაუბრების პროცესის დაკვირვება. კანდიდატი უმეტესად ახერხებს აზრის გასაგებად და ნათლად ჩამოყალიბება-გადმოცემას, ამასთან იყო ცალკეული ეპიზოდი, როდესაც კანდიდატის პასუხები აჩენდა განცდას, რომ მისი მსჯელობა იყო წინააღმდეგობრივი ან არ იყო ბოლომდე ნათელი და გასაგები მსმენელისათვის, მაგალითად სარჩელის უზრუნველყოფის ღინისძიების გამოყენების წინაპირობებზე მსჯელობის პროცესში (საქართველოს იუსტიციის საბჭოში) კანდიდატს დასჭირდა რამდენიმე განმარტების გაკეთება იმისათვის, რომ აეხსნა და დაეფიქსირებინა, რომ მისი აზრით, იმთავითვე უპერსპექტივო სარჩელის (სამართლებრივი თვალსაზრისით) უზრუნველყოფა არ არის მიზანშეწონილი და იგი ასეთ სარჩელზე უზრუნველყოფის ღონისძიებას არ გამოიყენებდა. ასევე კანდიდატის მსჯელობა არ იყო თანმიმდევრული და ნათელი საქართველოს პარლამენტში ისეთ მნიშვნელოვან შეკითხვაზე პასუხის გაცემის პროცესში, როგორცაა თუ რას ნიშნავს სასამართლოს დამოუკიდებლობა ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ დონეზე, კანდიდატმა დაიწყო საუბარი, რომ

სასამართლოს დამოუკიდებლობა ნიშნავს კანონის უზენაესობას, რომ მოსამართლის ქცევა ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა იყოს სამაგალითო და რომ პიროვნულ თვისებებს მოსამართლისათვის აქვს მნიშვნელობა, თუმცა საბოლოო ჯამში კანდიდატის დასკვნა და პოზიცია იმაზე, თუ რას ნიშნავს მისთვის სასამართლოს დამოუკიდებლობა, არ იქნა მკაფიოდ დაფიქსირებული. აღნიშვნის ღირსი ფაქტია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტში გასაუბრების დასრულებისას კანდიდატმა მადლობა გადაუხადა დამსწრე პირებს და დააფიქსირა, რომ საჯარო გამოსვლის წინ იგი ღელავდა და შესაძლოა ამიტაც იყო განპირობებული მისი მსჯელობის არათანმიმდევრულობა ცალკეულ შემთხვევებში.

შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი ძირითადად იცნობს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას, თუმცა საქართველოს პარლამენტში დასმულ შეკითხვაზე თუ როგორია ქართული სასამართლო პრაქტიკა ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროების საკითხზე, კანდიდატმა განმარტა, რომ არ ახსენდება ასეთი. ამასთან, საკმარისი ინფორმაციის არქონის პირობებში შემფასებლისათვის რთულია გადაჭრით ითქვას, თუ რამდენად კარგად იცნობს კანდიდატი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ცალკეულ გადაწყვეტილებებზე მითითება ნამდვილად გვხვდება კანდიდატის წერილობით ნამუშევარში, რომელიც განხილულია ამ შემფასების ფარგლებში და ერთვის მას, თუმცადა საქართველოს პარლამენტში გასაუბრების დროს კანდიდატმა ვერ გაიხსენა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან რომელიმე გადაწყვეტილება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით), ვინაიდან გასაუბრების პროცესში კანდიდატისათვის არ ყოფილა მრავლად დასმული შეკითხვები ცალკეული სამართლებრივი საკითხების განმარტების მიზნით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად.

შემფასებლის შენიშვნები: ზოგადად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების პროცესის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს წევრების მხრიდან კანდიდატთან გასაუბრების დროს ფაქტობრივად არ დასმულა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა პრობლემას ხედავს დღეისათვის კანდიდატი სასამართლო ხელისუფლებაში, რას მიიჩნევს გამოწვევად, როგორ აფასებს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობას, რას მიიჩნევს აუცილებლად არსებული გამოწვევების დაძლევისათვის. შემფასებლის აზრით, სასურველი იქნებოდა კანდიდატს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია სასამართლო ხელისუფლების წინაშე მდგარ გამოწვევებსა თუ პრობლემებზე მოსამართლეთა და ზოგადად სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მიმართულებით, ჰქონოდა ამ საკითხებზე პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით შეკითხვათა სიმრავლით გამოირჩა საქართველოს პარლამენტი, თუმცადა კანდიდატის პასუხები ამ მიმართულებით დასმულ შეკითხვებზე უმეტესად იყო ზოგადი და არა

კონკრეტული (კანდიდატი ხშირად აფიქსირებდა, რომ საჭიროა განვითარება, თუმცა რა კონკრეტული ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას მისი ხედვით, აღნიშნული არ გახლდათ მკაფიო).

შემფასებლის დასკვნა: შემფასებლის ხელთ არსებულ და შესწავლილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემფასებელი მიიჩნევს, რომ კანდიდატი საშუალოსთან მიახლოებული სტანდარტით აკმაყოფილებს წინამდებარე შეფასებაში მოყვანილ კრიტერიუმებს, რის გამოც კანდიდატი უნდა შეფასდეს, როგორც ნაკლებად კვალიფიციური.

შეფასება:

- პიროვნული თვისებები: კვალიფიციური.
- პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები: ნაკლებად კვალიფიციური.

2. თამარ ოქროპირიძე

პიროვნული თვისებები:

აღნიშნული კრიტერიუმის შეფასების ნაწილში გამოკითხულ იქნა ადვოკატთა ასოციაციის წევრები, რომელთა საქმეები რიგ შემთხვევაში დასრულდა მათთვის სასურველი და ასევე არასასურველი შედეგებით. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ გამოკითხული ადვოკატების გამოცდილება კანდიდატთან მიმართებით სხვადასხვაგვარია. ერთ შემთხვევაში კანდიდატს აფასებენ, როგორც კვალიფიციურ, კომპეტენტურ, კორექტულ, დადებით პიროვნებად. აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ის არ გამოიჩინა ქედმაღლური დამოკიდებულებით ადვოკატთა მიმართ და მის გადაწყვეტილებებში ეჭვი არ შეუტანიათ, მათ შორის მათთვის უარყოფითად დასრულებულ საქმეებზეც კი. ამის პარალელურად კოლეგების ნაწილი მას ახასიათებს მიკერძოებულ და არამდგრად მოსამართლედ.

იუსტიციის საბჭოში და პარლამენტში განხორციელებული მოსმენების გათვალისწინებით კანდიდატის შეფასება აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად საკმაოდ რთულია. ფაქტობრივად იუსტიციის საბჭოში გასაუბრება ეხებოდა კანდიდატის სამართლებრივი ცოდნის შეფასებას. კანდიდატის ეთიკურ ღირებულებებს, თანაგრძნობას, სიმტკიცესა და მოთმინების შეფასება ფაქტიურად შეუძლებელია. არ დასმულა მსგავსი ხასიათის შეკითხვები, რომლის მეშვეობით შესაძლებლობა ექნებოდა კანდიდატს აღნიშნული თვისებები გამოემჟღავნებინა.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია მოსმენის უნარი, იგი გასაუბრებისას ყურადღებით ისმენდა შეკითხვებს და საჭიროების შემთხვევაში აზუსტებდა მათ შინაარსს საკითხის არსის სწორი გაგებისათვის. ამყარებდა მათთან ზეპირი საუბრის დროს ვიზუალურ კომუნიკაციასაც, რაც ასევე მნიშვნელოვანია თანამოსაუბრესთან ზეპირი კომუნიკაციის ხარისხიანად და ჯეროვნად წარმართვისათვის. თავისუფლად და გამართულად ახერხებდა მეტყველებას, პასუხების გაცემისას გახლდათ გაწონასწორებული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მის მიმართ არ დასმულა ისეთი კრიტიკული კითხვები, რასაც შესაძლოა მისთვის დისკომფორტი შეექმნა.

მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატს არა აქვს ბევრ რეზონანსულ საქმეში მონაწილეობა მიღებული, თუმცა სოციალურ ქსელში იძებნება ინფორმაცია მის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, საიდანაც ერთი შეეხებოდა ბაჩანა შენგელიას სარჩელს, რომლითაც ის ითხოვდა მისი დედის, ია კერძიას მიმართ პოლიტიკური დისკრიმინაციის დადგენას და მისი გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის სიმბოლურ ანაზღაურებას. ამასთან დაკავშირებით ბაჩანა შენგელიამ გამოაქვეყნა ფეისბუქ პოსტი, სადაც ატვირთული აქვს ორი მოსამართლის (სხვადასხვა კოლეგიის, სხვადასხვა დროს) გადაწყვეტილებიდან ამონარიდი, რომლებით აბსოლიტურად იდენტურია, ფაქტობრივად კოპირებულია ტექსტის ნაწილი, ამასთან ორივე მოსამართლეს უარი აქვს ნათქვამი სარჩელის განხილვაზე თავისი გადაწყვეტილებით ერთიდა იგივე მოტივით. აქედან ერთ-ერთი მოსამართლე სწორედ თამარ ოქროპირიძეა.

კანდიდატის ობიექტურობასა და დამოუკიდებლობაში კითხვის ნიშნებს ბადებს აგრეთვე მის მიერ განხილული 20 ივნისის მოვლენების დროს დაკავებულების საქმე. თამარ ოქროპირიძემ, რომელიც იმ დროისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოში მუშაობდა, 14 წუთში განიხილა სამი პირის საქმე და თითოეულს 13 დღის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნულზე მოსამართლემ განაცხადა, რომ ეს სავსებით შესაძლებელი იყო იმ პირობებში, როდესაც "პასუხისგებაში მიცემული პირი სადავოდ არ ხდის სამართალდარღვევას". მისი განმარტებით, აბსოლუტურად კანონიერი გადაწყვეტილებები მიიღო და "არ ყოფილა არც ერთი შუამდგომლობა", რომელიც მან არ დააკმაყოფილა (აღნიშნულ ინფორმაციას ავრცელებს „რადიო თავისუფლება“ 25.11.2021წ.).

აღნიშნულ თემაზე, კანდიდატს საპარლამენტო მოსმენაზე შემდეგი კითხვა დაუსვა დეპუტატმა ლევან იოსელიანმა: „საიას ანგარიში არსებობს, სადაც ნათქვამია, რომ 90 პირის მიმართ მოხდა იმ დღეს საქმეების განხილვა. ცხრა მოსამართლემ განიხილა საქართველოს სხვადასხვა სასამართლოში და მიდგომა იყო ასეთი: დღის პირველ ნახევარში ყველას მიმართ იყო გამოტანილი პატიმრობა, დღის მეორე ნახევარში ყველას მიმართ იყო გამოტანილი ფულადი ჯარიმა. როგორ ფიქრობთ, შემთხვევით დაემთხვა ეს ყველაფერი, თუ ხო არ იღებდით მითითებას, როგორ უნდა გემოქმედათ?“

კანდიდატის პასუხი: „არანაირი მითითება არც 20 ივნისის საქმეებზე და არც ნებისმიერ სხვა საქმეზე არასდროს, ჩემი საქმიანობის განმავლობაში, არ მქონია. რაც შეეხება 20 ივნისის საქმეებს, დღის მეორე ნახევარში სასამართლოში მოვიდნენ ადვოკატები, რომლებიც ჩაერთვნენ საქმის განხილვაში და მოხდა გარკვეული შუამდგომლობების დაყენება, გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, რის საფუძველზეც ცალკეულ შემთხვევაში საქმის განხილვა გადაიდო და ა.შ...თქვენ თუ რეალურად გადაამოწმებთ სასამართლოს მიერ მიღებულ ამ დადგენილებებს, ნახავთ, რომ რეალურად ასე არ იყო და მე პირადად შევწყვიტე კიდევ საქმის წარმოება, შენიშვნაც გამოვიყენე, ჯარიმაც და, მათ შორის, პატიმრობაც და ეხლა იქ, სადაც შევწყვიტე და ვთქვი სამართალდარღვევა არ იყო, იქ მიუკერძოებელი მოსამართლე ვიყავი და, სადაც პატიმრობა გამოვიყენე, იქ ვიღაცის მითითებებს ვასრულებდი? ეს ხომ წარმოუდგენელი და არასწორია?! ანუ სასამართლო საქმეს იხილავს საქმეში არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, სამართალდარღვევაში მიცემული პირის სამართალდარღვევის ჩადენის დამოკიდებულებიდან, მისი პიროვნებიდან და ა.შ. ყველა იმ ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, რასაც კანონმდებლობა ადგენს. აქედან გამომდინარე, მე მაგ შეფასებას არ ვეთანხმები.“

შესწავლილი მასალიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი სხვადასხვა საკითხების შესახებ მსჯელობისას ინარჩუნებდა მის აზრს, თავისუფლად გადმოსცემდა სათქმელს და ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას. პარლამენტში ანრი ოხანაშვილის მიერ დასმულ შეკითხვაზე, დაუწერია თუ არა განსხვავებული აზრი გადაწყვეტილების მისაღებად, განაცხადა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ის მოღვაწეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლოში სულ რამდენიმე თვეა რაც დაინიშნა, ფიზიკურად ვერ მოახერხებდა განსხვავებული აზრის დაწერას. იქვე აღნიშნა, რომ თუ მოსამართლეს მიაჩნია, რომ მისი გადაწყვეტილება მყარია და განსხვავდება მისი კოლეგების გადაწყვეტილებისგან, ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დააფიქსიროს მისი განსხვავებული აზრი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას კანდიდატი უპასუხოდ არ ტოვებდა არცერთ კითხვას, ცდილობდა თითოეულ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხები გაეცა. კითხვის დამსმელთან არ შედიოდა პოლემიკაში, თანაბარი თავდაჭერილობით პასუხობდა სხვადასხვა პირების მიერ დასმულ სხვადასხვა შეკითხვებს.

პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები:

შესწავლილი მასალიდან გამომდინარე, ამ კრიტერიუმით კანდიდატის შეფასების დროს უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრებისას გამოიკვეთა მისი ცოდნა პროფესიული ლიტერატურის, სიახლეების ძიების კუთხით. კანდიდატს აქვს ადმინისტრაციული

სამართლის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება, ამჟღავნებს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის კარგ ცოდნას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრებებზე დასმულმა შეკითხვებმა არ მოგვცა შესაძლებლობა მისი პროფესიული კომპეტენცია, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, შეგვეფასებინა არამარტო ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, არამედ სამოქალაქო და სისხლის სამართლის მიმართულებითაც. აქვე ხაზგასასმელია, რომ კანდიდატი კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს. საბჭოში გასაუბრებისას კანდიდატმა სიღრმისეულად ისაუბრა გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე, მათ შორის ამერიკულ და ევროპულ სტანდარტებზე. აგრეთვე შეეხო შშმ პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით შიდა კანონმდებლობაში კონვენციური უფლებების ასახვის მნიშვნელობაზე. კანდიდატი აგრეთვე კითხვებზე პასუხებისას ხშირად იშველიებდა საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამის პარალელურად ხაზგასასმელია, რომ თამარ ოქროპირიძეს არ აქვს აკადემიური მიღწევები, აგრეთვე არა აქვს სამართლებრივი ნაშრომები გამოქვეყნებული.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციის მიხედვით, 2017 წლის 1 ნოემბრიდან-2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, თამარ ოქროპირიძის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგია:

საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით 86,2%, ვადის დარღვევით 13,2%;

გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვით -63,7%, დარღვევით-36,3%

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები: უცვლელი-82,6%, შეცვლილი-17,4%.

კანდიდატი კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, ასახელებს არაერთ გადაწყვეტილებას შეკითხვაზე პასუხის გაცემისას. იგრძნობა მისი ცოდნის სიმტკიცე აღნიშნული მიმართულებით. შესაძლოა ითქვას, რომ კანდიდატს ესმის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში „ევროპული კონვენცია“) ცალკეული მუხლები. ამ მიმართულებით, კანდიდატის მიმართ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დასმული კითხვა-პასუხებიდან შეგვიძლია გამოვყოთ გარკვეული მათგანი:

კითხვა: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დავუბრუნდები კვლავ, მაინტერესებს თქვენი მსჯელობა, თუკი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად სახელმწიფოს მიადგა ზიანი, სასამართლომ საქმის განხილვის დროს გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა

პირი, დასჯერდა სიტყვიერ შენიშვნას, აქვს თუ არა მას უფლება ზიანის ანაზღაურების მოვალეობისგანაც გაათავისუფლოს კონკრეტული პირი?

პასუხი: ზიანის ანაზღაურება თუ კონფისკაციას ხომ არ გულისხმობთ?

კითხვა: ქონებრივი ზიანი მიადგა დაუშვათ სახელმწიფოს კონკრეტული სამართალდარღვევის ჩადენის დროს, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა პირი, დასჯერდა სიტყვიერ შენიშვნას და აქვს თუ არა ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უფლებამოსილება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან გაათავისუფლოს კონკრეტული პირი?

პასუხი: გასაგებია, აი მაგალითად ძალიან ხშირია ზიანის საკითხი გარემოსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დროს და გარკვეულწილად შედარება რომ გავაკეთოთ შენიშვნის გამოყენების შემთხვევაში, აქვს თუ არა სასამართლოს ასევე, ვთქვათ, კონფისკაციის უფლება იქნება, იგივე მაგალითად თევზჭერის დროს ანკესის ჩამორთმევის უფლება, ამაზე საბოლოოდ სასამართლო პრაქტიკა განვითარდა იმ მიმართულებით, რომ თუ იყენებს სიტყვიერ შენიშვნას, აღარც დამატებითი სახდელის სახით გამოყენება არ ხდება და ალბათ აღარც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დაეკისრება, ამ მიმართულებით ძალიან საინტერესო გადაწყვეტილებაა ბიქანასი პარლამენტის წინააღმდეგ, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლო პერიოდში მიიღო და ამ გადაწყვეტილებაში გვექონდა მოცემულობა, როდესაც პირს წიაღის მოპოვების გამო დაეკისრა ჯარიმა, ზიანის ოდენობა დაახლოებით 20 ლარს შეადგენდა და კონფისკაციის სახით მას ჩამოერთვა ტრაქტორი, რომლის ღირებულებაც იყო დაახლოებით 54 000 აშშ დოლარი და სასამართლომ აი აქ იმსჯელა, რამდენად პროპორციული იყო დამატებითი სახდელის სახით აი ამ კონფისკაციის გამოყენება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სავალდებულოდ განსაზღვრავდა, რომ მოსამართლე თუ მიიჩნევდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ჰქონდა ადგილი და სამართალდარღვევის ფაქტს დაადგენდა, უპირობოდ იყო ვალდებული, რომ განეხორციელებინა ქონების კონფისკაცია, ამის ჩამორთმევა და ძალიან საინტერესო განმარტება გააკეთა, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა გარკვეულწილად თანაზომიერების პრინციპს და სრულად საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობით არ გამოირიცხა სრულად კონფისკაციის შესაძლებლობა, თუმცა განიმარტა, რომ ის ნორმატიული შინაარსი იყო კონსტიტუციის საწინააღმდეგო, როდესაც მოსამართლეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით შეეფასებინა რამდენად იყო თანაზომიერი, როდესაც სახეზე არ იყო იმ დონის დარღვევა და ისეთი ზიანი და ართმევა, კონფისკაციას ახდენდა ბევრად უფრო მაღალი ღირებულების ნივთის. გარდა ამისა, განმარტება გაკეთდა, რომ ეს ტრაქტორი არ იყო უკანონო ბრუნვის ობიექტი და ის სხვა კანონიერი მიმართულებითაც გამოიყენებოდა. ამგვარი დონისძიების განხორციელება ლახავდა პირის უფლებას, მას გარკვეულწილად

სამომავლოდ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასაც უსპობდა და ჩაითვალა, რომ ეს დამატებითი სახდელის სახით კონფისკაციის გამოყენება სრულად არღვევდა თანაზომიერების პრინციპს და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი”.

კითხვა: გამოხატვის თავისუფლება ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, თქვენ როგორ ფიქრობთ გამოხატვის თავისუფლება მიეკუთვნება იმ უფლებათა რიგს, რომელიც აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს და შესაძლებელია თუ არა მისი შეზღუდვა და რა შემთხვევებში?

პასუხი:გამოხატვის თავისუფლება მართლაც არის ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულება და მის გარეშე ზოგადად წარმოუდგენელია, რომ არსებობდეს დემოკრატია საზოგადოებაში და ერთგვარად მოიაზრება, რომ უფლებათა ქვაკუთხედად მიაჩნიათ გამოხატვის თავისუფლება, პირველად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში იქნა გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები 1948 წელს, ხოლო შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით იქნა მოწესრიგებული ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის უმთავრესი ღირებულება და მნიშვნელოვანი უფლება ის არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და კონვენცია ზუსტად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია, რომ გამოხატვის თავისუფლება იქნას შეზღუდული. ახლა რა შემთხვევაში არის შესაძლებელი ამ უფლების შეზღუდვა, პირველი ეს არის თუ გამოხატვის თავისუფლებამ დაარღვია სხვათა უფლებები, როდესაც სახეზეა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, უშიშროების დარღვევის საფრთხე და ასევე სასამართლოს ავტორიტეტი. მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლება, ასევე ძალიან ხშირია ხოლმე შემთხვევა, როდესაც კონფლიქტია გამოხატვის თავისუფლებასა და მე-8 მუხლს შორის, ანუ ოჯახის და პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას შორის, გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვის თავისუფლების ფარგლები არ არის ყველასთვის ერთნაირი. აი მაგალითად, პოლიტიკოსების გამოხატვის თავისუფლება არის ბევრად უფრო ფართო და ამის თაობაზე არაერთი გადაწყვეტილება არსებობს, იგივე მასმედიის და პრესის გამოხატვის თავისუფლება ამავდროულად არის ძალიან ფართო. მაგალითად არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება არსებობს, მაგალითად სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ...”

პარლამენტში გასაუბრებისას, პარლამენტის წევრმა- დავით მათიკაშვილმა შეკითხვა დასვა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რაზეც კანდიდატმა ვრცლად ისაუბრა:

შეკითხვა: „უშუალოდ ხომ არ მეტყვით, მაგალითად, საქართველოსთან მიმართებაში რა ტენდენცია შეინიშნება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებში? რას გვთხოვენ? რა არის ისეთი ფაქტორები რომელზედაც, ვთქვათ, არა ერთ, არამედ

რამდენიმე გადაწყვეტილებაში არის ხაზგასმული? თუ არის საერთოდ ესეთი მოთხოვნა და თუ არის ესთი მოცემულობა სტრასბურგიდან?”

პასუხი: „პირველ რიგში მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, რომლებიც გარკვეულ დარღვევას ადგენს ჩვენი ქვეყნის მიმართ, ეს არის საფუძველი იმის, რომ რაღაც გამოვასწოროთ და შევცვალოთ. იგივე, ვთქვათ, სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარე ვისაუბრებ ამ საკითხზე. აი, მაგალითად, დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით - „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“ ან „ბართია საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც დადგენილი იქნა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. ერთ შემთხვევაში, ვინაიდან მხარე არ იქნა სათანადო წესით მოწვეული, მეორე შემთხვევაში, როდესაც ადვოკატის შუამდგომლობის მიუხედავად, არ იქნა სასამართლო სხდომა გადადებული და ეს გახდა საფუძველი იმის, რომ სასამართლომ უფრო მაღალი სტანდარტი დაადგინა ამ თვალსაზრისით და დღეს საჯარო შეტყობინება, როგორც მხარის მოწვევის ფორმა, გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სრულად ამოწურავს სასამართლო ყველა შესაძლებლობას და ეს სტანდარტი დადგინდა სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე. ასევე, თუ არ ვცდები, კიდევ უშუალობის პრინციპის დარღვევასთანაც არის ერთ-ერთი ძალიან საინტერესო გადაწყვეტილება საქართველოს წინაშე, როდესაც მოსამართლე შეიცვალა და მეორე მოსამართლემ მტკიცებულებათა გამოკვლევა არ აწარმოა და აქაც, როდესაც მე პირადად საქმეს ვიხილავ, ყოველთვის ვეკითხები მხარეებს, რომ ხომ არ სურთ, რომ ვთქვათ წინა მოსამართლის მიერ განხილული საკითხი ხელახლა დავიწყოთ და მათ არ დარჩეს განცდა, რომ რაიმე ამ მოსამართლემ არ შეისწავლა და არ განიხილა“.

შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა მასზედ, რომ კანდიდატს კარგად განვითარებული ზეპირი მსჯელობის უნარი აქვს და თამამად აფიქსირებს დასაბუთებულ მოსაზრებებს ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, პრაქტიკაში არსებულ პრობლემურ საკითხებზე.

კითხვა: თქვენი სამოსამართლო უფლებამოსილების დროიდან თუ გაიხსენებდით რომელიმე გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, რაიმე ან პრაქტიკა შეიცვალა ან თქვენ მიგაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანი განმარტება მოხდა:

პასუხი: კი ბატონო, ყოფილა ასეთი გადაწყვეტილება, მაგალითად, იგივე დიპლომის აღიარების საკითხებთან დაკავშირებით, როდესაც ახლა საბოლოოდ ცვლილება შევიდა კანონმდებლობაში და სასამართლოს განმარტება იქნა გაზიარებული. ასევე, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო სასამართლო დარბაზში დათანხმებულა, განმარტების დროს გამოუთქვამს პოზიცია, რომ იზიარებს სასამართლოს მოსაზრებას და ისინი არ აპირებენ გასაჩივრებას და პირიქით, ამ განმარტების შესაბამისად გარკვეული რეგულაციების შეცვლასაც აპირებენ

სამომავლოდ. ასეთი განმარტებაც მომისმენია, გარკვეულწილად ეს არის ერთგვარი პრობლემა ადმინისტრაციული ორგანოების დამოკიდებულებების, რომ ზოგჯერ არის შემთხვევა, როდესაც ისინი გაურბიან გარკვეული პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და ცდილობენ, რომ ნებისმიერ, ამა თუ იმ საკითხზე, თუნდაც უკვე დადგენილი პრაქტიკა იყოს სასამართლოს მიერ, მაინც სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება და მათ ეს პასუხისმგებლობა არ აიღონ საკუთარ თავზე და მიმაჩნია, რომ ეს ერთგვარი, გარკვეული პრობლემა არის”.

კითხვა: სამართალდარღვევებთან დაკავშირებით ერთ ასეთ კაზუსს მოვიყვან, როდესაც სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია მხოლოდ 173-ე მუხლით, თუმცა საქმის განხილვისას გამოვლინდა, რომ სახეზეა, არა 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, არამედ 166-ე წვრილმან ხულიგნობად, თუ ყოფილა საქალაქო სასამართლოს პრაქტიკაში ისეთი შემთხვევა ამ დროს მოსამართლე რას აკეთებს და თუ უცვნია სამართალდამრღვევად პირი 166-ე მუხლით, როდესაც ოქმი 173- ე მუხლით არის შედგენილი.

პასუხი: კი ბატონო, დიდი მადლობა, მე პირადად ასეთი შემთხვევა არ მქონია, მაგრამ რომ მომიწიოს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა, როდესაც ოქმი შედგენილია 173-ე მუხლით, მე ვფიქრობ, რომ მე ეს ოქმი უნდა შევაფასო 173-ე მუხლის ფარგლებში და თუ ჩავთვლი, რომ სახეზე არ არის პოლიციის კანონიერი მოთხოვნის მიმართ დაუმორჩილებლობა, ან წინააღმდეგობა, შევწყვეტ საქმის წარმოებას და მე ვერ მოვახდენ მის კვალიფიკაციას 166-ე მუხლზე, წვრილმან ხულიგნობაზე. ვინაიდან ეს არის აბსოლუტურად სხვა სამართალდარღვევა შემადგენლობით და ოქმის შედგენის უფლებამოსილება არის შესაბამისად პოლიციის წარმომადგენლის უფლებამოსილება და მან უნდა დააკვალიფიციროს ესა თუ ის ქმედება წვრილმანი ხულიგნობაა თუ პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა. მე შევაფასებ იმ ოქმის ფარგლებში და იმ მოცემულობაში, რაც წარმოდგენილია სასამართლოში და თუ მივიჩნევ, რომ ეს შემადგენლობა, რაც სასამართლოშია წარმოდგენილი, არ გვაძლევს 173-ე მუხლის მოცემულობას, შევწყვეტ საქმის წარმოებას”.

კანდიდატმა როგორც იუსტიციის საბჭოში, აგრეთვე პარლამენტში გასაუბრებისას, სადაც როგორც ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან, აგრეთვე სხვა იურიდიული წრეების წარმომადგენელთა მხრიდან დასმულ შეკითხვებზე პასუხისას გამოავლინა კარგი ცოდნა ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით არამარტო ადგილობრივ საკანონმდებლო დონეზე, აგრეთვე დეტალურად ისაუბრა როგორც ქალთა მიმართ, აგრეთვე ოჯახური ძალადობის საქმეებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო საკითხებზე და მოსამართლეთათვის პრობლემურად გადასაწყვეტ თემებზე. მაგალითისთვის მტკიცების ტვირთთან მიმართებით ერთმანეთს შეადარა ფიზიკური ძალადობის და ფსიქოლოგიური ძალადობის საქმეები.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს გააჩნია კარგი ანალიზის და გადმოცემის უნარი. საკმაოდ კარგად იცნობს, როგორც ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. გასაუბრებებზე გამოავლინა ადმინისტრაციული სამართლის კარგი ცოდნა, თუმცა როგორც ზემოთაც ავლინებთ ვერაფერს ვიტყვით მის ცოდნაზე სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, რადგან ფაქტობრივად არ ყოფილა ამ მიმართულებით კითხვები დასმული. საჭირო შემთხვევებში ახდენდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებების, საკონსტიტუციო სასამართლოს და სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილებებიდან კონკრეტული დასაბუთების ციტირებას.

შემფასების მოსაზრებაა, რომ კანდიდატის ცოდნის სრულად შესაფასებლად როგორც იუსტიციის საბჭოში, ასევე პარლამენტში გასაუბრებისას დაისვა არასაკმარისი შეკითხვები. იუსტიციის საბჭოში დაისვა 36 სამართლებრივი და 1 ზოგადი ხასიათის შეკითხვა. საბჭოს წევრების მიერ დასმული შეკითხვები გახლდათ კანონმდებლობაში არსებული პრინციპების ირგვლივ და არ მოიცავდა მოსამართლის დამოკიდებულებებს, მიმდინარე სასამართლო რეფორმის ცალკეულ საკითხებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უზენაესი სასამართლოს კანდიდატს დაესვას მეტი შეკითხვა სამართლის სხვადასხვა სფეროდან, თუნდაც მისი ზოგადი ცოდნის შესაფასებლად. ძალიან მწირი გახლდათ სამართლის სხვა სფეროებიდან დასმული

შეკითხვები, რაც ვერ იქნება კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასებისას მისი რაიმე ფორმით დამაკნინებელი. ამდენად შემფასებლის მიერ შესწავლილი მასალის ანალიზიდან გამომდინარე გამომდინარე კანდიდატი კვალიფიციურია.

შეფასება:

- **პიროვნული თვისებები: კვალიფიციური.**
- **პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები: კვალიფიციური.**

3. ნინო სანდოძე

პიროვნული თვისებები:

მითითებული კრიტერიუმით შეფასების მიზნით, შემფასებლის მიერ გამოკითხულ იქნა იურიდიული საზოგადოების წარმომადგენლები: ყოფილი პროკურორები, ადვოკატები, სასამართლოს აპარატის ყოფილი თანამშრომელი. კანდიდატს აფასებენ, როგორც კომპეტენტურ და კვალიფიციურ მოსამართლეს. გამოვლინდა, რომ ნინო სანდოძე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით, ეთიკურობით. ამ კუთხით მისი შესაძლებლობების შესახებ საზოგადოებაში კითხვის ნიშნები არ არსებობს, მაგრამ მის მიერ 2012 წლამდე მიღებული სასამართლო

გადაწყვეტილებების/განჩინებების მიმართ არის უნდობლობა იურიდიულ წრეებში. მოიაზრებენ, რომ კანდიდატი არ იყო დამოუკიდებელი მის საქმიანობაში 2012 წლამდე პერიოდში, შესაბამისად არ აქვთ მოლოდინი, რომ იქნება მედეგი გავლენების მიმართ მომავალში.

„ვიცნობ დიდი ხანია. კარგად იცის კანონები. პროცესიც კარგად მიჰყავდა ყოველთვის“.

„ნინო სანდომის პრაქტიკიდან ვიტყვოდი, რომ ზედმეტად თავდაჯერებულია, ყოფილა შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარეს გვიგრძვნია მისი მიკერძოება ბრალდების მხარისადმი“.

„იყვნენ მაშინაც გაბედულები და იყვნენ გაუბედავებიც. ნინო სანდომე ჭკვიანია, მაგრამ მორჩილიც ბრძანდებოდა...“ „ან ეხლა რატომ იქნება ინოვაციური და გაბედული? ... მინიმუმ ადამიანს ცოტა გულთან უნდა მიჰქონდეს სხვისი ოჯახის უბედურება“.

„დაუნდობელი და უხეში არასდროს მინახავს პროცესზე. პირიქით პროკურორებისთვის არაერთხელ მიუცია შენიშვნა ადვოკატის მიმართ არასათანადო მიმართვის ან მოხსენიების გამო. 2012 წლამდეც არ უშინდებოდა კვალიფიკაციის შეცვლას შემსუბუქების კუთხით და რამდენადაც ვიცი გამამართლებელსაც იღებდა“... „მე თვითონ ვარ შესწრებული ფაქტს, რომ საპროცესოც კი არ დაუმტკიცა პროკურატურას სანამ ბრალი არ შეასწორებინა, რაც ბრალდებულის მდგომარეობას აუმჯობესებდა, ესეც 2012-მდე იყო“.

“არის ძალიან მაღალი დონის პროფესიონალი და 2012 წლამდე სხვა მოსამართლეებზე მტკიცე იყო“.

კანდიდატის სამართლიანობის, შემწყნარებლობის, თანგრძნობის შესახებ შემფასებელი სარგებლობს იუსტიციის საბჭოში, კანდიდატთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით. კანდიდატმა განაცხადა, რომ კონკრეტულ საქმეზე არასრულწლოვანი ბრალდებულის დაცვის მიზნით, უმიზეზოდ გააჭიანურა საქმის განხილვის ვადა, რათა ამ პერიოდში არასრულწლოვან ბრალდებულსა და პროკურატურას შორის საპროცესო შეთანხმება გაფორმებულიყო, ვინაიდან საქმის არსებითად განხილვის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო გამამტყუნებელი განაჩენი დამდგარიყო, რაც გააუარესებდა არასრულწლოვნის მდგომარეობას.

პარლამენტში გასაუბრების დროს კანდიდატისთვის დასმულ არცერთ საკითხზე მას არ განუცხადებია, რომ საკითხი უცნობია მისთვის. ყველა კითხვაზე გააჩნდა ზოგადი ან უფრო ამომწურავი პასუხი. ყველა საკითხზე გააჩნდა მისი მოსაზრება. კანდიდატი არის სხარტი აზროვნების და კარგი მენეჯერული თვისებების მქონე. რიგ შემთხვევებში კანდიდატს ფართო მსჯელობაში შესვლის საშუალებას კითხვის

დამსმელი არ აძლევდა, ეს ძირითადად ეხებოდა სისხლის სამართლის ნაწილში დასმულ საკითხებს ან კანდიდატის მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებს. რიგ შემთხვევებში კანდიდატი თავად ვერ შედიოდა კონკრეტული საკითხის შესახებ ფართო მსჯელობაში.

კითხვაზე გაცემულ პასუხებში კანდიდატი სისტემატიურად ხაზს უსვამს ადამიანის უფლებებს და იგრძნობა ადამიანის უფლებების დაცვისთვის მნიშვნელობის მინიჭება, მხარდაჭერა. კანდიდატი გასაუბრებებზე იყო გაწონასწორებული, საუბრობდა თანაბრად და გასაგებად, აზრს აყალიბებდა თანმიმდევრულად და მსჯელობას ანვითარებდა ლოგიკურად. კანდიდატი ცდილობდა ყოფილიყო კეთილგანწყობილი უსიამოვნო საკითხებზე მსჯელობის დროსაც. ცდილობდა დაესრულებინა აზრი, თუ ამის შესაძლებლობა ეძლეოდა. არ შედიოდა თანამოსაუბრესთან კამათში. დასახელებული ფაქტებიდან გამომდინარე შემფასებელი მიიჩნევს, რომ ნინო სანდომეს აქვს კარგად განვითარებული მოსმენის, მოთმინების უნარი, ლოგიკური მსჯელობის უნარი. არის ეთიკური, იმსახურებს მოსაუბრისგან ნდობას და კეთილგანწყობას.

შემფასებლის მიერ მიღებული ინფორმაციის სიმწირის გამო, ვერ მოხერხდა შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, კანდიდატის ყველა კრიტერიუმის მიხევით შეფასება. ასაღნიშნავია, რომ პარლამენტში კანდიდატების მოსმენას არ ესწრებოდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც კანდიდატთან მეტად კრიტიკული კითხვების დასმის შესაძლებლობის გამოყენებით მეტი ინფორმაციის მიღების საშუალებას მოგვცემდნენ.

კანდიდატის სიმტკიცის შესახებ დაისვა საკითხი საქართველოს პარლამენტში „არსებობდა თუ არა პირთა ჯგუფი რაც გავლენას ახდენდა სასამართლოზე ან სასამართლო გადაწყვეტილებებზე“, კანდიდატმა გალენიანი ჯგუფების არსებობა სასამართლოში უარყო, როგორც წინა ასევე მოქმედი ხელისუფლების პერიოდში. ხოლო იმ საკითხზე მსჯელობისას, რომ სტატისტიკურად 2012 წლამდე გამამართლებელი განაჩენი მინიმალური რაოდენობის არსებობდა, კანდიდატმა გაიხსენა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ძველი რედაქცია) მე-14 მუხლის ჩანაწერი, რომელიც მოქმედებდა 2010 წლამდე და მოახდინა მისი ციტირება. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე ის ავალდებულებდა მოსამართლეს დაედგინა დამნაშავე და დანაშაული. „ამით მგონი ყველაფერი ცხადია, რა პროცესი მოქმედებდა 2010 წლამდე, შესაბამისად, როდესაც მოსამართლე იყო ამ კანონმდებლობის აღმსრულებელი...“ ამ სიტყვებით კანდიდატმა განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ზღუდავდა მოსამართლეს მის საქმიანობაში. კითხვაზე 2012 წლამდე თუ გამოუტანია გამამართლებელი განაჩენი, კანდიდატმა განმარტა, რომ იგი არსებითად საქმის განხილვას ახდენა 2005-დან 2010 წლამდე, შემდეგი ორი წელი იხილავდა წინასასამართლო სხდომებს, სადაც არ ხდებოდა შემაჯამებელი

გადაწყვეტილების გამოტანა საქმეზე. კანდატმა განმარტა, რომ 2010 წლამდე პერიოდში 12 საქმეზე ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი აქვს გამოტანილი და ორ საქმეზე სრულად გამამართლებელი. თუმცა ვერ დაასახელა ამ პერიოდში სულ რა რაოდენობის საქმე განიხილა, რომ გვემსჯელა განხილული საქმის რა პროცენტზე დადგა გამამართლებელი განაჩენი. როგორც კანდიდატმა განმარტა, საქმეთა ნაწილი მხარეთა შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დადასტურებით სრულდებოდა, რაც გამორიცხავდა საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

კახა წიქარიშვილის მიერ გაქდერებულ იქნა საკითხი იმის, შესახებ, რომ აღკვეთის ღონისძიების სახე პატიმრობა 2012 წლამდე გამოიყენებოდა სისხლის სამართლის კოლეგიაში არსებული საქმეების 92-97%-ზე, ხოლო 2012 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი შემცირდა 65%-მდე, დაისვა საკითხი ხსენებული სტატისტიკის მიზეზის შესახებ. პასუხად კანდიდატმა რამოდენიმე მიზეზი დაასახელა. „მე ამ სტატისტიკას უფრო წლებს დავუკავშირებ, 2010 წელს, როდესაც ახალი საპროცესო კანონმდებლობა ამოქმედდა, ამას დავუკავშირებ და პლიუს იმას, რომ 2005 წელს საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად..., მე როდესაც მუშაობა დავიწყე აღკვეთის ღონისძიების რამოდენიმე სახე იყო: პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, შინაპატიმრობა იყო მაშინ აღკვეთის სახე და სხვა, რომელიც 2005 წელს დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ეს აღკვეთი ღონისძიები არ არსებობდა, ამის შემდგომ როდესაც გირაო პირველად იმ წლებში პირველად შემოვიდა და დაიწყო დამკვიდრება ამ აღკვეთის ღონისძიებამ, ხალხი ძალიან სიფრთხილით ეკიდებოდა ქონებით უზრუნველყოფას, რომელიც დღეს გაცილებით მაღალია, ესეც შეიძლება იწვევდა ამ გაუგებრობას და თვითონ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნაც კი ნაკლებად დგებოდა, გირაოს მოთხოვნის ვიდრე დღეს ხდება“.

ინტერნეტში იძებნება არაერთი ინფორმაცია ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობის გახმაურებულ საქმეზე გ.გ.-სა და ნ.ჩ.-ს მიმართ. ცნობილია, რომ ნინო სანდომემ პირველი ინსტანციით განიხილა ბრალდებულების საქმე და 2006 წელს მიუსაჯა მათ უვადო თავისუფლების აღკვეთა. შემდეგში არაერთხელ მოხდა გადაწყვეტილების გადასინჯვა, საბოლოოდ 2017 წელს მსჯავრდებულები გამართლდნენ 11 წლიანი პატიმრობის შემდეგ. ინტერნეტსივრცეში მოძიებულ იქნა ინფორმაცია 2017 წელს პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების შესახებ, რომელიც პოლიტიზირებულად მოიხსენიებდა ამ საქმეს და საუბრობდა წარსულში ამ საქმის მიმართ ხელისუფლების მაღლჩინოსნების ინტერესზე. ზემოხსენებულ საქმეთან დაკავშირებით პარლამენტში გასაუბრებაზე კანდიდატს კითხვა დაუსვეს: „მოსამართლეს, რომელსაც ასეთი შეცდომა აქვს დაშვებული, იმსახურებს თუ არა უზენაეს სასამართლოში უვადოდ გამწესებას? “

პასუხად კანდიდატმა განმარტა, რომ 2012 წლამდე მისი გადაწყვეტილება გადასინჯეს და ძალაში დატოვეს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა. განმარტა, რომ 2012 წლის შემდეგ არაერთხელ დაიწყო საქმეზე ხელახლა გამოძიება და ძიების შედეგად მოხდა ახალი გარემოებების გამოვლენა, რამაც მოახდინა გავლენა საქმეზე და სხვა შედეგი დააყენა. კანდიდატმა განაცხადა, რომ მას ამ საქმეზე შეცდომა არ დაუშვია. შემფასებელი განმარტავს, რომ მიღებული მწირი ინფორმაციის შედეგად კონკრეტულ საქმეზე მოსამართლის სიმტკიცეს ან სხვა უნარებს ვერ შეაფასებს, მაგრამ ჩათვალა ღირსად რომ წინამდებარე შეფასებაში საზოგადოებისათვის მაღალი ინტერესის მქონე საკითხი აღენიშნა.

უმეტეს შემთხვევებში კანდიდატის პასუხები საკმაოდ დამაჯერებელია, გამონაკლისია 2012 წლამდე არსებულ საკითხებზე კანდიდატის მსჯელობა. ამ ნაწილში კანდიდატის პასუხი არადამაჯერებელია. კანდიდატი სრულად უარყოფს სასამართლოში გავლენიანი ჯგუფების არსებობას. იგი აცხადებს, რომ 2010-2012 წლამდე პერიოდში „სასამართლოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, რაც გამომდინარეობდა საპროცესო კანონმდებლობიდან გარკვეულწილად ხელები ჰქონდა შეკრული“. კანდიდატი მიიჩნევს, რომ 2010 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი გამამტყუნებელი განაჩენების სიმრავლის და აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ერთერთი ძირითადი მიზეზია, რასაც შემფასებელი არასარწმუნოდ მიიჩნევს. კანდიდატს, როგორც მოქმედ მოსამართლეს დასახელებული საკითხის შესახებ რეაგირების სხვა სამართლებრივი საფუძვლები გააჩნდა (მაგალითად საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა, მოსამართლეთა სხვა სახის აქტიურობა ამ საკითხის გადაწყვეტისთვის) რაც არ გამოუყენებია. შესაბამისად კანდიდატის პიროვნული თვისებების შეფასებისას მოსამართლისათვის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება - სიმტკიცე სასურველია ყოფილიყო უფრო მაღალი სტანდარტით გამოვლენილი.

პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები

შესწავლილი მასალიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ ნინო სანდოძეს გააჩნია კარგი იურიდიული განათლება. აქვს მრავალწლიანი და მრავალფეროვანი სამუშაო გამოცდილება. დაძლია არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, კერძოდ ახლად დანიშნულმა მოსამართლემ განიხილა კონკრეტული ვადების დაცვით დიდი რაოდენობის საქმეები, რაც მის კომპეტენციასა და კარგ მენეჯერულ თვისებებზე მეტყველებს. იყო პირველი მოსამართლე, რომელმაც განიხილა საქმე ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით. აქვს კარგი წერილობითი და ზეპირი მსჯელობის უნარი, საკითხის ანალიზის უნარი, კანონის ცოდნის და ნორმის განმარტების უნარი.

საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას ხაზი გაესვა საკითხს, რომ კანდიდატის პირველადი არჩევანი არ იყო იურიდიული ფაკულტეტი. კანდიდატს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება თსუ-ს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე (1995წ.) და თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა კანდიდატმა დაასრულა 1999 წელს. კანდიდატმა დასმულ კითხვას უპასუხა, რომ დასახელებული ინსტიტუტი გარკვეული პერიოდი არსებობდა და დღეს აღარ არსებობს. შემფასებლის მოსაზრებით მათემატიკური განათლება კანდიდატის ერთერთ ღირსებად უნდა მოვიაზროთ. უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ კი კანდიდატს კარგი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-განათლება აქვს მიღებული. საქართველოს იუსტიციის საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული მონაცემების მიხედვით წინო სანდომის გადაწყვეტილებებს რომელიც გასაჩივრდა, გააჩნია სტაბილურობის შემდეგი მაჩვენებელი - 93,3%. ამ კუთხით საინტერესო იყო კანდიდატთან გასაუბრება საქართველოს პარლამენტში.

გურამ მაჭარაშვილის კითხვა: „თქვენს მიერ მიღებული განაჩენები უფრო მეტად საჩივრდებოდა ზემდგომ ინსტანციაში თუ უფრო მეტად არ საჩივრდებოდა, დაახლოებით სტატისტიკა თუ განსოვთ? “.

პასუხი: „მოდით დავყოფ ჩემს სამოსამართლო საქმიანობას, რაღაც ეტაპებად. 2005 წლიდან 2010 წლამდე პირველი ინსტანციის სასამართლოში ვიხილავდი ყველა კატეგორიის საქმეებს, მათ შორის აღკვეთის ღონისძიებებს, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის შესახებ საკითხებს და არსებითად სისხლის სამართლის საქმეებს. 2010 წლიდან 2018 წლამდე ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად ვიხილავდი წინასასამართლო სხდომებს, წინასასამართლო სხდომის ყველა გადაწყვეტილება იყო პერიოდი რომ არ საჩივრდებოდა, იმ პერიოდში გასაჩივრების ძალიან მცირე რაოდენობა იქნებოდა 2010-2018 წლამდე. 2018 წლიდან დღემდე უფრო ზუსტი სტატისტიკა მაქვს, 2019 წელს 100- ზე მეტი საქმე მაქვს განხილული და 59 გასაჩივრდა, 2020 წელსაც დაახლოებით 103 საქმე მაქვს განხილული და 53 გასაჩივრდა“. კანდიდატმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებებიდან 2019 წელს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება შეიცვალა და 2020 წელს ორი.

წინო სანდომემ საინტერესოდ განავითარა მსჯელობა გურამ მაჭარაშვილის მიერ დასმულ შემდეგ საკითხზე: „სამართლიანი განაჩენი უფრო მნიშვნელოვანია თუ კანონზე დამყარებული განაჩენი...“ „როცა დილემის წინაშე დგება მოსამართლე რომელი უნდა აირჩიოს, სამართლიანობა თუ კანონიერება“.

პასუხად კანდიდატმა გამოიხატა სისხლის სამართალი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებისგან იმ კუთხით, რომ სისხლის სამართლის

მატერიალურ ნაწილში ვერ გამოიყენებს სასამართლო კანონის ანალოგიას. იმსჯელა, რომ შესაძლოა სასამართლო კონკრეტული ქმედებისათვის კანონმდებლობით გაწერილ სანქციას არ ეთანხმებოდეს, მაგრამ მოუწიოს არსებული ნორმით სარგებლობა. კანდიდატმა გამოკვეთა იდეალური შემთხვევა, როცა შესაძლებელია სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა, მაგრამ პრიორიტეტი მიანიჭა კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას. „სამართლიანი არის შეფასებითი კატეგორია...“, „სამართლიანობა არის პირის სუბიექტური აღქმა, კონკრეტული მოვლენების და ფაქტების მიმართ, რომელიც მას შინაგანად უყალიბდება შინაგანი და გარეგანი ფაქტების ზემოქმედებით, ერთიდაიგივე გარემოება, მაგალითად სასჯელი ერთიდაიგივე, შესაძლებელია როგორც ბრალდების მხარისთვის იყოს უსამართლო, ისე დაცვის მხარისთვის“.

გიორგი ამილახვარის კითხვა: „თუ კანონი არ არის სამართლიანი, ამ შემთხვევაში?“

ნინო სანდოძემ უპასუხა: „როგორც წესი ითვლება, რომ კანონი არის სამართლიანი, მიუხედავად იმისა, რომ თვლიან თუ არა ეს კანონი სამართლიანია“. კანდიდატმა მაგალითად მოიყვანა გერმანელი მეცნიერის რადბრუხის თეორია, „ითვლება, რომ კანონი არის სამართლიანი, მაგრამ თუ კანონი იმდენად უსამართლო ხასიათს იღებს, რომ ის აღარ არის სამართლიანი, მაშინ ის ვერ ჩაითვლება სამართლიან სამართლად, ეს არის ის განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც აბსოლუტურად, აბსოლიტურად უსამართლო ხდება კანონმდებლობა, სხვა შემთხვევაში ითვლება, რომ კანონმდებლობა არის სამართლიანი“.

კანდიდატმა მართლებულად იმსჯელა მოსამართლის განსაკუთრებული თმენის ვალდებულებაზე მის მიმართ გამოხატული კრიტიკული თუ შეურაცხმყოფელი მოსაზრებების მიმართ. მან განმარტა და დაასაბუთა მისი შეხედულებისამებრ, რომ მოსამართლეს აქვს თმენის განსაკუთრებული ვალდებულება. კანდიდატმა ისაუბრა სარეკლამო ხასიათის ვიდეოს შესახებ, რაც ერთერთი კრიტიკული მედია საშუალებით გაშუქდა და მასში ისმოდა მოწოდება „მოსამართლე კლავს!“. კანდიდატმა განაცხადა, რომ ვიდეოში მოხსენიებულმა მოსამართლეებმა საკასუხოდ რომ განცხადებები გაავრცელონ, შესაძლოა „ხელი შეეშალოს ამ მოსამართლეების ლეგიტიმურობას“ კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე იმსჯელა, მსგავსი ტიპის ვიდეო მასალის გავრცელების მავნე შედეგებზე მომავალში.

ნინო სანდოძემ იუსტიციის საბჭოში და საქართველოს პარლამენტში გასაუბრებაზე გამოამყდავნა სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის განსაკუთრებულად კარგი ცოდნა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ცოდნა. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ შემფასებლის მიერ ვერ მოხდა კანდიდატის შეფასება სამართლის სხვა დარგებში, რადგან ამ ნაწილში კითხვები ძალიან მწირი ოდენობით დაისვა.

კანდიდატი „პროფესიული კომპეტენციის და სამოსამართლო უნარ-ჩვევების“ კრიტერიუმით შეფასებისას არის „კვალიფიციური“.

შეფასება:

- პიროვნული თვისებები: კვალიფიციური.
- პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები: კვალიფიციური.

4. თეა ძიმისტარაშვილი

პიროვნული თვისებები:

მითითებული კრიტერიუმით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი რეპუტაციით ქვეყნის შიგნით იურიდიულ წრეებში. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კანდიდატი გამოირჩევა საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით, შრომისმოყვარეობით და ეთიკურობით. გამოკითხულ ადვოკატთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პროცესის მიმდინარეობისას კანდიდატი არის გაწონასწორებული, სამართლიანი და ობიექტური. ასევე, გამოკითხულთა შორის არიან ადვოკატები, რომლებმაც თავი შეიკავეს პოზიციის დაფიქსირებისგან.

„ძიმისტარაშვილი ძალიან, გაწონასწორებული და კვალიფიციური“.

„გვყავს მოსამართლეები, რომლებსაც შეიძლება დიდი პრაქტიკა და ცოდნაც გააჩნდეთ, თუმცა ზოგიერთ მათში რთულია მოძებნო ადამიანობა... თეა ძიმისტარაშვილი მოსამართლე ადამიანი, მცოდნე და კვალიფიციური მოსამართლეა“.

„თავს შევიკავებ ძიმისტარაშვილის შეფასებისგან...“

შეფასების პროცესში, ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია კანდიდატის ისეთი პიროვნული თვისებების შესახებ, როგორცაა:

- ა) განსხვავებული აზრის მიმდებლობის და გაზიარების უნარი;
- ბ) მოთმინების უნარი;
- გ) სტერეოტიპებისგან თავისუფლება;
- დ) კანონის წინაშე თანასწორობის იდეის ერთგულება;

ე) ფართო აზროვნების უნარი.

რაც შეეხება, კანდიდატის პიროვნულ სიმტკიცეს, აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადსაღებია მისი განმარტება საკომიტეტო გასაუბრებისას გაკეთებულ პარლამენტის წევრის შემდეგ კითხვასთან დაკავშირებით:

კითხვა: „...თქვენ ახსენეთ, რომ 2012 წლის შემდეგ ვითარება შეიცვალა იმ თვალსაზრისით, რომ იგივე კანონმდებლობამ განიცადა ცვლილება, თუმცა მე შემიძლია მივუთითო ისეთ სფეროებში რადიკალური ცვლილება იგივე სტატისტიკური მაჩვენებლების თვალსაზრისით, რომელიც მაინცდამაინც არც მატერიალური და არც პროცესუალური კანონმდებლობის ცვლილებას არ უკავშირდება. მათ შორის, ეხლა გასაგებია, რომ მაგალითად იგივე შთანთქმის პრინციპის სისხლის სამართალში შეიცვალა მაგრამ გამამართლებელ განაჩენზე ეს გავლენას არ ახდენს ან საგადასახადო კანონმდებლობა ახსენეთ, საგადასახადო კანონმდებლობა ახლა, რომ უფრო ბევრი მოქალაქე ახერხებს ან იურიდიული პირი კერძო სამართლის, გამარჯვებას საგადასახადო დავებში. ეს არ მგონია რაღაც რადიკალური საგადასახადო ცვლილებების რეზულტატი იყოს. რა შეიძლება რომ...“

პასუხი: „ალბათ საგადასახადო რეფორმებიც მნიშვნელოვნად იყო განხორციელებული თუმცა...“

კითხვა: „დავის განხილვის თვალსაზრისით, აი რომელ ცვლილებას დაასახელებთ, რის გამოც გახდა, რელევანტური იყო, რამაც განაპირობა მეტი გამარჯვება მოქალაქეების?“

პასუხი: „იყო, უცებ, ახლა გამიჭირდება ამის გახსენება, მაგრამ მე, ბატონმა ლევანმაც დასვა შეკითხვა და სწორედ მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას, რომ გარდა კანონმდებლობისა, ანუ გარემო სადაც მოსამართლე საქმიანობს ხო, და იყო მთელს ქვეყანაში პრიორიტეტი, რომ უნდა იყოს საჯარო ინტერესი უპირატესი, გამიგეთ?..“

ჩაკითხვა: „ვინ განსაზღვრავს ამას?“

პასუხი: „აი ამ მოცემულობაში სწორად ეს აზრი მუსირებდა და..“

ჩაკითხვა: „ვინ განსაზღვრა ეს პრიორიტეტი იმხანად?“

პასუხი: „ანუ ესე კონკრეტულად, აი ზუსტად, გულწრფელად ვამბობ აბსოლიტურად, თითქოს ამისგან მოდიოდა, ამისგან მოდიოდა, აი ზოგადად იყო ეს ასე, რომ ვთქვათ გაბატონებული მოცემულობა, რომ საჯარო ინტერესი უნდა დაეცვა მოსამართლეს და სწორედ ამ საჯარო ინტერესის უპირატესობის გათვალისწინებით იყო...“

რეპლიკა პასუხზე: იცით, რა დაგეთანხმებით, რომ პოლიტიკა იმხანად იყო ასეთი, რომელიც ამბობდა, რომ ადამიანის უფლებებზე მაღლა დგას საჯარო ინტერესი.

პასუხი: „დიახ, ეს პოლიტიკა იყო, არ იყო?“

კითხვა: „თქვენ როგორც მოსამართლეს, როგორც იურისტს

პასუხი: „და კანონმდებლობაც ასე იყო მორგებული ბატონო მიშა

კითხვა: „და აი მე ამიტომ გეკითხებით სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელი განჩენი, მაგალითად კონსტიტუციური დოგმა „უდანაშაულობის პრეზუმფციისა“ მოქმედებდა 2012 წლამდეც და დღესაც. 2012 წლის შემდეგ გამამართლებელი განჩენი გვხვდება ნორმალური სიმრავლით მანამდე იყო ნულოვანი სტატისტიკა პრაქტიკულად ხო. ეს რამ განაპირობა აქ რა ცვლილებამ, არავითარმა, რაღაცა სხვა არის მიზეზი“...

პასუხი: „ანუ რა არის იცით, მთლიანად რომ შევაფასოთ პროცესი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდამ ინსტიტუციურად, უვადოდ დანიშვნებმა ანუ მეტი სიმყარე შესძინა ეტყობა სასამართლოს გადაწყვეტილებებს და მეტი სითამამე“...

მითითებული განმარტებიდან, იკვეთება, რომ კანდიდატს არ გააჩნია მედეგობა გარკვეული გავლენების მიმართ და ზოგადად სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიად მიიჩნევს მხოლოდ ინსტიტუციურ და არა პიროვნულ დამოუკიდებლობას. ეს უკანასკნელი კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა მოსამართლისთვის, მით უფრო უზენაეს სასამართლოს, როგორც დოქტრინალური სასამართლოს მოსამართლისთვის.

შესასწავლი მასალის საფუძველზე, განხილული განმარტებებიდან გამომდინარე, შემფასებლის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატს გააჩნია კარგი რეპუტაცია იურიდიულ წრეებში, გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მას პიროვნული სიმტკიცის თვალსაზრისით, უზენაეს სასამართლოს მოსამართლისათვის შესაფერისი სტანდარტით არა აქვს გაცნობიერებული „გაბატონებული მოცემულობის“ ზეგავლენის მნიშვნელობა. აღნიშნული შემფასებელს არ აძლევს შესაძლებლობას, რომ კანდიდატი „პიროვნული თვისებების“ კრიტერიუმით შეფასდეს, როგორც „კვალიფიციური“ ან/და „მაღალ კვალიფიციური“.

პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები:

შესასწავლი მასალიდან გამომდინარე, კანდიდატს გააჩნია კარგი იურიდიული განათლება, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარები. ამასთან, კანდიდატს გააჩნია, მრავალწლიანი და მრავალმხრივი საქმიანი გამოცდილება, ასევე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კანდიდატი იურიდიულ წრეებში, როგორც „პიროვნული თვისებების“ კრიტერიუმით, ისე „პროფესიული კომპეტენციისა და სამოსამართლო უნარ-ჩვევების“ კრიტერიუმის გათვალისწინებით, ხასიათდება დადებითად.

კანდიდატი ზოგადად კარგად იცნობს სამართლის ნორმებსა და სამართლებრივ პრინციპებს, ასევე იცნობს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, როგორც საქართველოს ისე სხვა ქვეყნების მიმართ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა, როგორც საბჭოში ისე საკომიტეტო მოსმენისას გამართული გასაუბრებისას, უმეტეს შემთხვევაში ამომწურავად გასცა პასუხები, საკანონმდებლო აქტების მითითებით, თუმცა რიგ შემთხვევებში მისი მსჯელობა იყო ძალიან ზოგადი და ვერ შეძლო გასაუბრებისას დასმული საკითხის გადაწყვეტა სათანადო სამართლებრივი საფუძვლის მითითებითა და დასაბუთებით. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მისი მოსაზრება პარლამენტის წევრების მიერ დაწერილი, უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, განცხადების შესახებ, როდესაც პარლამენტმა უარი განაცხადა მათი განცხადების დაკმაყოფილებაზე, რაც გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში. ის დაეყრდნო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ევა გოცირიძის განსხვავებულ მოსაზრებას და განმარტა, რომ როდესაც ბიოკოტირების რეჟიმში იყვნენ პარლამენტარები, მუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია ითვალისწინებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას პირადი განცხადების საფუძველზე, მაინც კონკრეტულად არ რეგულირდება კონსტიტუციაში მსგავსი სახის შემთხვევა და არ უნდა მიეღოთ წარმოებაში აღნიშნული საკონსტიტუციო სარჩელი.

კანდიდატს, მისი განმარტებებიდან გამომდინარე, არ მიუღია პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ასევე არასდროს გამოუყენებია კონსტიტუციური წარდგინება, მიუხედავად იმისა, რომ გასაუბრებისას არაერთხელ აღნიშნა 2012 წლამდე არსებული გადაწყვეტილებების მიღების მიზეზად, ძირითადად იმ პერიოდში არაჰუმანური კანონების არსებობა, დაასახელა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი, მისი განმარტებებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს საჯარო ინტერესების პრიორიტეტულად დაცვას.

თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, გასაუბრებებისას გაკეთებული, მისი რამოდენიმე განმარტება, ასევე ერთ-ერთი გამოკითხული ადვოკატის შეფასება:

კითხვა: „...ქალბატონო თეა, ... თქვენ თუ გქონიათ ანალოგიური განცდა ან შემთხვევა რომელიმე „ქეისთან“ მიმართებაში, რომ ან განმარტეთ, სამართლიანობის მხარეს დადებით ასე ვთქვათ ბრჭყალებში და კანონი განმარტეთ ისე, როგორც თქვენ იმ წუთას შინაგანმა რწმენამ, ასე ვთქვათ გიკარნახათ ან გამოიყენეთ კონსტიტუციური წარდგინება?“

პასუხი: „კონსტიტუციური წარდგინება არ გამოიყენებია ჩემი სამოსამართლო პრაქტიკის განმავლობაში. თუმცა ის მეთოდების რაც გვაქვს საქმის განხილვის დროს,

როდესაც გვაქვს ესეთი მოცემულობა, როდესაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კანონს, კანონში ყოველთვის გაჟღერებულია კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები და ამ მოცემულობით გადამიწყვეტია, რომ დავუშვათ კანონქვემდებარე აქტი არ გამითვალისწინებია, იმიტომ რომ კანონს ეწინააღმდეგებოდა და კანონში მოცემული იყო სწორედ კონსტიტუციის სულისკვეთება. აი ესეთი მოცემულობა მქონია“.

კითხვა: „რა არის ის რასაც ხედავთ, რომ შეცვლიდით, მათ შორის, გნებავთ სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით, აი რის ახლებურად დარეგულირებას, გადაწყვეტას, შეცვლას, იმიტომ რომ, ჩვენ ვიცით, რომ დინამირურია ხომ, რა თქმა უნდა, ნებისმიერი რამ, მათ შორის კანონმდებლობა, პრაქტიკა და ა.შ. ცხოვრებასთან ერთად ვითარდება. აი თქვენი გადასახედით არის რამე, რომელსაც შეცვლიდით, გინდათ საკანონმდებლო რეგულაციით, რომ უკეთესია ან ამოიღებდით ან დაამატებდით ან მათ შორის სასამართლო პრაქტიკა?“

პასუხი: „ანუ საკანონმდებლო რეგულაციასთან დაკავშირებით, რასაც ხაზს გავუსმევ ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში, ბავშვის უფლებებიდან გამომდინარე აუცილებელი არის დამტკიცების განხორციელება, იმიტომ რომ სწორედ ჩვენ, როდესაც ბავშვის განცალკევების საკითხს ვიხილავთ კანონში გვაქვს მხოლოდ ერთი მოცემულობა ჩარჩენილი, სადაც ვითარება ეხება მხოლოდ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ერთი თვით ბავშვის განცალკევების საკითხს, შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით. თუმცა არის მთელი ... ხარვეზი. ამ სისტემაში არ არის დარეგულირებული, სწორედ პროცესში ის საკითხი, რაც ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებულია ალტერნატიულ ზრუნვაში ბავშვის განთავსების დროს და კანონში ჩანაწერი არის, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე უნდა მოხდეს, თუმცა კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მისი განმარტებითი ბარათები, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, გვეუბნება, რომ აუცილებლად ზეპირი მოსმენა უნდა იყოს ამ საკითხებთან დაკავშირებით გამართული. შესაბამისად, ეს საკითხები აუცილებლად საჭიროებს დახვეწას და ჩვენ ველოდებით ამ ცვლილებებს, შესაბამის ცვლილებებს...“

კითხვა: „და პრაქტიკის თვალსაზრისით თუ არის ისეთი რამე, სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით, და აი უზენაესში, რომ გამოასწორებდით?“

პასუხი: „ერთი ჩემი გადაწყვეტილება მახსენდება, რომელსაც უზენაესმა სასამართლომ სხვაგვარი მიიღო და მაინც აი ჩემს მოსაზრებაზე ვრჩები, თუმცა რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ უზენაეს სასამართლოს ... და საკითხი არის, სამშენებლო სფეროზე არის საუბარი, სამშენებლო დავაზე არის იმ თვალსაზრისით, როდესაც კონკრეტულად პირის, მერიიდან შეიძინა უძრავი ქონება, 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი იყო დაახლოებით და მას, ამ ტერიტორიას ჰქონდა ლანდშაფტური ზონა, სარეკრიაციო-ლანდშაფტური ზონა, და სწორედ ამ ფუნქციური ზონის სტატუსს ასაჩივრებდა

სასამართლოში. მე ამ შემთხვევაში უპირატესობა, მივანიჭე საჯარო ინტერესს. როდესაც ხდება განაშენიანება, ხდება სწორედ იმ ბუნებრივი გარემოს არსებითად ანუ შეჭრა, დარღვევა, მერე იმას მოსდევს შემდეგი მიმდებარე მშენებლობები, თუმცა უზენაესმა სასამართლომ ხაზი გაუსვა საკუთრებას. მე ვამბობ, რომ იქ შესაბამისი კომპენსირება უნდა მოხდეს და ასეთ შემთხვევაში ბუნების დაცვას, გარემოს, სარეკრიაციო ზონის დაცვას უფრო მაღალი ხარისხი უნდა მიენიჭოს, ასე მგონია. თუმცა უზენაესმა სასამართლომ საკუთრების ინტერესის სასარგებლოდ გადაწყვიტა დავა.

ადვოკატის მოსაზრება: „ჯერ ხომ ძალიან კარგად და დეტალებში იხილავს, მერე იმდენად მცოდნეა და ისეთ კითხვებს გისვას, რომ ძალიან კარგი მომზადება გჭირდება, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო გეხმარება შენი პოზიციის უკეთ ჩამოყალიბებაში. სამოქალაქო დავაც მქონდა ერთი და მოკლედ ყველგან მაღალი პროფესიონალიზმი გამოაჩინა.“

კანდიდატის მიერ გასაუბრებებისას გაკეთებული განმარტებებიდან, მათ შორის ზემოთ განხილული განმარტებებიდან გამომდინარე, შემფასებლის მოსაზრებით კანდიდატი „პროფესიული კომპეტენციის და სამოსამართლო უნარ-ჩვევების“ კრიტერიუმით შეფასებისას, ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით, არის „კვალიფიციური“.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე კანდიდატი ფლობს კარგ პიროვნულ თვისებებსა და პროფესიულ კვალიფიკაციას, თუმცა მას აქვს შედარებით დაბალი სამართლის ნორმათა განმარტების და საუკეთესო საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკების განზოგადების და სასამართლო პრაქტიკის განვითარების უნარები, ასევე განიცდის მედეგობის სიმცირეს და შესაბამისად საშუალო სტანდარტით აკმაყოფილებს შეფასებაში მითითებულ კრიტერიუმებს.

შეფასება:

- პიროვნული თვისებები: ნაკლებად კვალიფიციური.
- პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები: კვალიფიციური.